

ზმნური გრამატიკული ომონიმია ქართულში
(კორპუსლინგვისტური ანლიზი)

შოლიკ მშეციან

*ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “მეცნიერება და
ხელოვნების” ფაკულტეტზე “გამოყენებითი ენათმეცნიერების” მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან გერსამია, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შოლიკ მშეციაწ

19.06.2025

სარჩევი

თავფურცელი	1
განაცხადი.....	2
სარჩევი	3
აზრეციატურების სია	4
აბსტრაქტი	5
Abstract	7
მადლობა	9
შესავალი	10
თავი პირველი.....	13
<i>გრამატიკული ომონიმის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში.....</i>	<i>13</i>
<i>თავი მეორე.....</i>	<i>21</i>
<i>ქართული ზმნის სტრუქტურა და გრამატიკული კატეგორიები.....</i>	<i>21</i>
<i>2.1. ზმნის მორფოტაქტიკა და მორფემული შედგენილობა</i>	<i>21</i>
<i>2.2. ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიები.....</i>	<i>26</i>
თავი მესამე	37
<i>ზმნური ომონიმია ქართულში.....</i>	<i>37</i>
<i>3.1. მოქმედებითი გვარის სასხვისო და სათავისო ქცევის ომონიმური ფორმები....</i>	<i>37</i>
<i>3.2. ვნებითი გვარის და სათავისო ქცევის ომონიმური ფორმები.....</i>	<i>49</i>
<i>3.3. მედიოაქტივის და აქტივის ომონიმური ფორმები</i>	<i>59</i>
დასკვნა	72
ბიბლიოგრაფია.....	77
დანართი #1 - მოქმედებითი გვარის სასხვისო და სათავისო ქცევის ომონიმური ფორმები	78
დანართი #2 - ვნებითი გვარის და სათავისო ქცევის ომონიმური ფორმები	81
დანართი #3 - მედიოაქტივის და აქტივის ომონიმური ფორმები	94

აბრევიატურების სია

Nom - სახელობითი ბრ.	Aor - წყვეტილი
Erg- მოთხრობითი ბრ.	FUT - მყოფადი
Dat- მიცემითი ბრ.	PRES- აწმყო
S - სუბიექტი	OV- სასხვისო ქცევა (საობიექტო ვერსია)
O- ობიექტი	SV- სათავისო ქცევა (სასუბიექტო ვერსია)
IO-ირიბი ობიექტი	NV - საარვისო ქცევა (ნეიტრალური ვერსია)
DO -პირდაპირი ობიექტი	SG -მხოლოდითი რიცხვი
V – ზმნა	PL - მრავლობითი რიცხვი
Act - აქტივი, მოქმედებითი	PRV - ზმნისწინი
Pass- პასივი, ვნებითი	R-ძირი
TRNS- გარდამავალი	THM- თემის ნიშანი
INTRNS- გარდაუვალი	AUG- ფუძის აუგმენტი
EDV1- პირველი თურმეობითი	IMPV- სავრცობი
EDV2- მე-2 თურმეობითი	PM- მწკრივის ნიშანი
MP- მედიოპასივი	
MA- მედიოაქტივი	

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება ზმნურ გრამატიკულ ომონიმას, რომელიც შეპირობებულია ზმნათა ერთგვარი მორფოსტრუქტურით, მორფომოდელის ზედაპირულ სტრუქტურაში იდენტური ფონემური ინვენტარით გამოხატულ მორფმათა მიმდევრობით, თუმცა განსხვავდებიან სიღრმისეული სტრუქტურით - გრამატიკული მნიშვნელობებით, რომელთაც, თავის მხრივ, ქმნიან ზმნური მორფოლოგიური კატეგორიები და სუბკატეგორიები.

ნაშრომში ზმნური გრამატიკული ომონიმია ანალიზდება ქართული ენის კორპუსების (GNC - <http://gnc.gov.ge/> ; GLC - <https://corpora.iliauni.edu.ge/>) მონაცემებზე დაყრდნობით. კორპუსული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ომონიმური ფორმების წარმოჩენას სხვადასხვა საფუძველი აქვს ჯგუფების გათვალისწინებით. ნაშრომის ფარგლებში დადგენილია ზმნური ომონიმის დაშვების სამი შემთხვევა:

1. მოქმედებითი გვარისა სასხვისო და სათავისო ქცევის I-II პირების ზმნების ომონიმია (17 ომონიმი, 35 ომოფორმა)
2. ინიანი ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ზმნების ომონიმია (68 ომონიმი, 136 ომოფორმა).
3. საშუალ-მოქმედებითისა და მოქმედებითი გვარის ზმნების ომონიმია (43 ომონიმი, 87 ომოფორმა).

ზმნური ომონიმია წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ფუნქციურად განსხვავებული მორფემები, რომლებიც რეალიზებიან ერთსა და იმავე პოზიციაზე, გამოხატულების პლანში ემთხვევიან ერთმანეთს.

ზმნური ომოფორმების შესწავლას აქვს პრაქტიკული ღირებულება: კომპიუტერულ თარგმანზე მომუშავე მთარგმნელები და მეცნიერები, ლექსიკოგრაფები აწყდებიან სირთულეებს, რომელიც უკავშირდება ომოფორმის თარგმნისა და სალექსიკონო ერთეულად ზმნის ლემის ან მესამე პირის ფორმის შერჩევის საკითხებს; ამიტომ ქართული ზმნური ომონიმის ტიპების დადგენა, იდენტურ ზმნურ მოდელებს შორის განსხვავებების ჩვენება მნიშვნელოვანია ქართული ენის კორპუსებისათვის, რათა

გადაიჭრას ისეთი რთული ამოცანა, როგორცა დისამბიგვირება - ომონიმის ანუ ორაზროვნების მოხსნა.

საკვანძო სიტყვები:

მორფოლოგია, კორპუსლინგვისტიკა, ზმნური გრამატიკული ომონიმია, ქართული ენის კორპუსები, გვარისა და ქცევის გრამატიკული კატეგორიები

Abstract

The paper deals with verbal grammatical homonymy, which arises from specific morphostructural patterns of verbs. These patterns involve sequences of morphemes that share identical phonemic representations in their surface structure, while differing in their deep structure and grammatical meanings. These meanings are shaped by various morphological categories and subcategories.

In the paper, verbal grammatical homonymy is analyzed based on data from Georgian language corpora (GNC - <http://gnc.gov.ge/>; GLC - <https://corpora.iliauni.edu.ge/>). The analysis of corpus data shows that the appearance of homonym forms has different grounds depending on the groups. Within the framework of the work, three cases of verbal homonymy are established:

1. Homonymy of verbs in the 1st and 2nd person of the subject and object versions (17 homonyms, 35 homoforms)
2. Homonymy of verbs with the /-i/ prefixed in the passive voice and verbs in the subject version of active voice (68 homonyms, 136 homoforms).
3. Homonymy of verbs in the mediative and active voices. (43 homonyms, 87 homoforms).

Verbal homonymy arises in the case when functionally different morphemes, which are realized in the same position, coincide in the plan of expression.

The study of verb homoforms also has practical value: translators and scholars working on computer translation, lexicographers face difficulties related to the issues of translating homoforms and selecting the verb lemma or third-person form as a lexical unit; therefore, determining the types of Georgian verb homonymy, showing the differences between identical verb models, is important for Georgian language corpora in order to solve such a difficult task as disambiguation - the removal of homonymy or ambiguity.

Keywords:

*Morphology, Corpus Linguistics, Verbal Grammatical Homonymy, Georgian Language Corpora,
Grammatical Categories of Voice and Version*

მადლობა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული გულისხმიერების, რეკომენდაციების, მუდმივი ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, რუსუდან გერსამიას, რომლის თანადგომის, რჩევებისა და შენიშვნების გარეშე სამაგისტრო თემის დაწერას და კვლევის ჩატარებას ვერ შევძლებდი.

ასევე მადლობას ვუხდით ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გამხნევებისათვის, მოტივირებისათვის; ჩემს მეგობრებს - ნაშრომის წერის პროცესში თანადგომისათვის;